





დაავადებათა კონტროლისა და  
სამოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

# ტკიპებისაგან თავდაცვის საშუალებები

ნ. ცერცვაძე, ჯ.მანველიანი  
თბილისი 2015 წ.



## ქმედებები ტკიპის მოძრობისას და მის შემდეგ:

1. ტკიპის მოძრობა ხდება ძალიან ფრთხილად, მისი ხორთუმი ღრმად არის შეჭრილი კანის სიღრმეში, არ შეიძლება ხორთუმის კანის შიგნით დატოვება, ვინაიდან გამოიწვევს დაინფიცირებას.
2. ტკიპის მოძრობა უნდა მოხდეს რეზინის ხელთათმნიანი ხელით ან პინცეტით. ორივე შემთხვევაში მოჭიდება ხდება ტკიპის თავის მიდამოსთან ახლოს, რის შემდეგ მას ვაძლევთ კანისადმი პერპენდიკულარულ მდებარეობას და ვატრიალებთ ღერძის ირგვლივ კანიდან მოსაძრობად;
3. აუცილებელია ამოძრობის ადგილას კანის დამუშავება ნებისმიერი სადემინფექციო საშუალებით (70<sup>0</sup> სპირტით, იოდით, ოდეკოლონით და სხვა). შესაძლებელია კანში დარჩენილი ხორთუმის ამოსაღებათ საჭირო გახდეს ქირურგის ჩარევა;
4. ტკიპის მოცილების შემდეგ აუცილებელია ხელების ზედმინწევით დაბანა;

## ტკიპის ლაბორატორიაში გადაცემის წესები:

1. სასურველია ფეხსახსრიანი იყოს ცოცხალი;
2. არ უნდა იყოს დამუშავებული პრეპარატებით ან სხვა სითხეებით;
3. იგი უნდა იყვეს მოთავსებული სინჯარაში, ან სხვა შესაფერის მინის ჭურჭელში, რომელშიდაც სინოტივის შესაქმნელად უნდა მოვათავსოდ წყალში დასველებული ქალაღდი;
4. ფეხსახსრიანი ლაბორატორიაში უნდა მივიტანოთ გამოჭერიდან არა უმეტეს ორი დღეღამისა.

# სავაჭრო ქსელში არსებული ფეხსახსრიანებზე მომქმედი საშუალებები იყოფა 3 ჯგუფად



1. რეპელენტები-რომლებიც აფრთხობენ ფეხსახსრიანებს და მწერებს;
2. აკარიციდები -რომლებიც კლავენ მათ;
3. ინსექტოციდ-რეპელენტები –კომბინირებული პრეპარატები, რომლებიც აფრთხობენ და კლავენ მათ.

## რეპელენტები

რეპელენტებს განეკუთნებიან საშუალებები, რომლებიც შეიცავენ დიეთილტოლუამიდს : აღნიშნული პრეპარატებით იჟღინთება ტანისამოსი და შესაძლებელია ზოგიერთი მათგანის წასმა სხეულის ღია ნაწილებზე, მაგალითად მკერდზე, მუხლებზე, იდაყვებზე.

ბავშვებისათვის გამოიყენება ნაკლებად ტოქსიური კომპონენტებიანი პრეპარატები-რაც აღნიშნული უნდა იყოს პრეპარატზე

## საშიში პრეპარატების გამოყენება სხეულის ღია ნაწილებზე დაუშვებელია.



## აკარიციდული საშუალებები

აკარიციდულ საშუალებებში აქტიური ნივთიერებად გამოყენებულია ინსექტოაკარიციდი ალტამეტრინი ( ალტუაციმეტრინი), რომელსაც გააჩნია ნერვულ-პარალიზური მოქმედება. ამ პრეპარატის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ტანისამოსზე, სხეულის ღია ნაწილებზე მათი გამოყენება არ შეიძლება ტოქსიურობის გამო. აღნიშნულ ნივთიერებასთან შეხების დროს ტკიპებს ემართებათ დამბლა და ისინი ცილდებიან ტანსაცმელს. დღეისათვის ასეთი პრეპარატების ჩამონათვალი 30-მდეა. ასეთი პრეპარატებით ადამიანის სხეულზე ჩაცმული ტანისამოსის დამუშავება დაუშვებელია. რეპელენტებით წინასწარ დამუშავებულ ტანისამოს აშრობენ, რის შემდეგ ტანისამოსის ჩაცმა დასაშვებია და მას აკარიციდული თვისება უნარჩუნდება 14 დღეღამის განმავლობაში.

## ინსექტიციდურ - რეპელენტური საშუალებები

ინსექტიციდურ-რეპელენტური პრეპარატები შეიცავენ 2 ძირითად ნივთიერებას დიეთილტოლოუამიდს და ალტამეტრინს, რომელთა საშუალებითაც ისინი იცავენ ადამიანებს როგორც ტკიპებისაგან ასევე სისხლის მწოველი სხვა მწერებისაგან. ყველა ეს პრეპარატი გამოიყენება მხოლოდ ტანისამოსზე.